საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ 2019 წლის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (შემდგომში - ადმინისტრაცია) საქმიანობას ახორციელებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) მოთხოვნათა შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული მოთხოვნები ძირითადად ეხებოდა საკანონმდებლო ინიციატივების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობის სხდომის ოქმების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გაწეული სხვადასხვა სახის ხარჯების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

2019 წლის საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით რეგისტრირებულია სულ 202 განცხადება, მათ შორის დაკმაყოფილდა 59 მოთხოვნა, არ დაკმაყოფილდა 7 მოთხოვნა, კოდექსის მე–80 მუხლის თანახმად 89 განცხადება გაიგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო 47 განცხადებაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა, კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ადმინისტრაციაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 6 აგვისტოს №301 ბრძანებით განსაზღვრული არიან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირები, რომელნიც მომართვიანობის საფუძველზე ახორციელებენ რეაგირებას კომპეტენციის შესაბამისად.

ადმინისტრაციაში 2019 წელს, საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის გამო ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილი არ ყოფილა, ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოს წარმოებაში არ ყოფილა ადმინისტრაციის მიერ 2019 წელს საჯარო ინფორმაციის გაუცემლობასთან დაკავშირებული საქმე. აგრეთვე, კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის მხარის სასარგებლოდ თანხების გადახდის ვალდებულება, 2019 წელს ადმინისტრაციიას არ წარმოშობია.

ადმინისტრაციას, შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით გააჩნია მონაცემთა ბაზები, მათ შორის არის მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს.

ადმინისტრაციის პასუხისმგებელ მოხელეთა მიერ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო, 2019 წელს დისციპლინური სახდელის შეფარდება არ განხორციელებულა.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–12 მუხლისა და ასევე საქართველოს მთავრობის რეგლამენტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მთავრობის სხდომები იმართებოდა კანონით დადგენილი წესით. საქართველოს მთავრობის სხდომების საჯაროდ გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

ამასთან, საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებულია საქართველოს მთავრობის სხდომების დღის წესრიგი და მიღებული გადაწყვეტილებები. მთავრობის ყოველი სხდომის შემდეგ იმართება საქართველოს მთავრობის წევრთა ბრიფინგები. საქართველოს მთავრობის ინიციატივის - „ღია მმართველობის“ ფარგლებში სისტემატურად იმართებოდა საქართველოს მთავრობის წევრების პრესკონფერენციები მთავრობისა და ცალკეული უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მისი პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით, საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე შექმნილია საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი შესაბამისი ველი, სადაც, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია მთავრობის ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ.